საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 86
აპრილის 20, კვირა 1903 წ.
1877

ივერია

№ 86
აპრილის 20, კვირა 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ აპრილიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 8 მანეთად

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

უგანათლებულესნი თავადნი პეტრე, გიორგი და მიხეილ ალექსანდრეს-ძენი გრუზინსკები დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა უძვირფასესის დედისას უგანათლებულესის კნეინა

ელენე ზაქარიას ასულის გრუზინსკისას

18 აპრილს სოფელ ახალქალაქში. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.
(1—105—1)

კავკასიის ნატურალური კონიაკი
დ. ზ. სარაჯიშვილისა
ტფილისში

საწყობნი: ს.-პეტერბურგს, მოსკოვს და ვარშავას. უმთავრესი კანტორა ტფილისში, ოლგის ქუჩა, საკუთარი სახლი. (50—6—14)

ჟირარდის მანუფაქტურის
საწყობში

ღად მიღებულია მებელზედ გადასაკრავი მატერიები, ფარდები, ხალიჩები, იატაკზე გასაშლელები, კიბეზედ გასაფენები (Дорожки), ფარდების ასაწევები, ფოჩები და სამკაულები, ხელოვნური ტყავები, ლინოლეუმი.
(100—53)
დონერ—ლეიტცი.

რარმ. 49—9 ტელეფონი 617.

ქართული თეატრი

კვირას, 20 აპრილს, 1903 წელს.

იაფ-ფასიანი წარმოდგენა

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქმნება:

დაკლებულის ფასებით

მეორედ ახალი პიესა.

მურად-ფაშა

ისტორ. დრამა 4 მოქ. ბ—ლისა, გადმოკეთებული მეტერლინკის „მონნა-ვანნა“-დგან.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი დაკლებულია.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

მზადდება წარმოსადგენად „ოტელო“.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

გაიხსნა

დეკადანსური მაღაზია

საუცხოვო ხელოვნების ნივთებისა არტისტიულ საზოგადოების შენობაში.
(7—6.—6)

ამ წლის მაისის თვეში ტფილისში გაიმართება **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ**

სახალხო სეირნობა

საქველ-მოქმედო ბაზარითურთ

შემოწირულობათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულის ჭავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21 და ქართველთა შორის წ.-კითხვის გამარცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა.

ცირკი ძმ. ნიკიტინებისა.

კვირას, 20 აპრილს დანიშნულია უკანასკნელი წარმოდგენა. სხვათა შორის იქნება 1 სპარსული და კავკასიური ჭიდაობა. 1-ლი სპარსული ჭიდაობა შესდგება **ვ. მოორის** და **კულა გლდანელის** შორის (რადგანაც 15 აპრილს კავკასიურ ჭიდაობაში გლდანელმა სძლია მოორს, ამისათვის მოორმა ისურვა,



ერთხელ კიდევ გამოჯიბრება გლდანელთან **სპარსულ** ჭიდაობაში და გლდანელიც დასთანხმდა) ჯილდო 100 მან. 2, კავკასიური ჭიდაობა **გ. ოდიაშვილისა** (იგივე **ჯიბგირი**) **ს. კაზაროვთან.** ჯილდო 20 მან. 3-მე **ლილოელისა ო. აბრამიანთან** ჯილდო 20 მ.

კბილის ექიმი

ივანე ზავლეს ძე

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმეღღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის.
(წლ.)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—ორშ., ოთხშ., და შაბათ. 10—11.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.

კამოევი.—საშ: რდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხოთშ. და შაბათი. 11½—12½.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.

ზრ. ვ. სოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარიცკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტეიოლოგიური გამოკვლ.)

მუდმივი ექიმი გ. დ. ნასარიძე.

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

№ 46—8 ტელეფონი № 617

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქროვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძლიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუზეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბანინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისი, 20 აპრილი.

მეოცე საუკუნე დადგა და ჩვენს ცხოვრებაში ჯერ კიდევ აქვს ფესვი გადგმული თავად-აზნაურულ ცრუ-მორწმუნეობას. საფუძველი თავად-აზნაურობის არსებობისა დაინგრა ბატონყმობის გადავარდნით; წყარო, რომელიც ზრდიდა თავად-აზნაურობის გავლენას, დაშრა, მაგრამ ცრუ-მორწმუნეობა მაინც კიდევ არ მოისპო. ეს გარემოება საუკეთესო დამამტკიცებელია იმისი, რომ მამა-პაპით შესისხლხორცებული რწმენა ადვილად არა ჰქრება.

მეოცე საუკუნე დადგა და ჩვენს ლიტერატურას თავად-აზნაურული ცრუმორწმუნეობა ჯერ კიდევ საჭირ-ბოროტო საკითხად გახდომია. რამაც ევროპიულ ლიტერატურაში, კაი ხანია, ჩაილულის წყალი დალია, ჩვენში დღეს თხოულობს გარდაწყვეტას. ასეთია ჩვენი ჩამორჩენა, ასეთია უფსკრული, რომელიც საზღვრავს ჩვენს ქვეყანას ევროპისაგან.

ძველადვე შესისხლხორცებულ რწმენათა შორის თავად-აზნაურული ცრუმორწმუნეობა თითქმის ყველაზედ უფრო მავნებელია და ხელის შემშლელი ჩვენის კულტურულის ზრდა-განვითარებისა. ქართველი ერის ერთი მეათედი ნაწილი არ მუშაობს და ბედოვლათობს, რადგან დარწმუნებულია, რომ მუშაობა სათაკილოა „კეთილშობილისათვისაო“. ჩვენებური აზნაური, ხშირად თავადიც ლაქიად წავა და გუთანს-კი არ მოჰკიდებს ხელს, თითქო ლაქიობა უფრო საპატიო იყოს, ვიდრე მიწის მუშაობა.

ზემო-იმერეთში გლეხები გაკეთდნენ „შავი-ქვის“ ზიდვით და თავადები და აზნაურები-კი გაკოტრდნენ, რადგან არ კადრულობენ ქვის ზიდვას. ვისაც „მწონავობა“ არ შეუძლიან, იშოვოს, დღე და ღამ გვერდზედ წოლას არჩევს, შიმშილითაც რომ სული ჰხდებოდეს და მეურმეობასა და ჩალვადრობას-კი არ იკადრებს.

„კეთილშობილ“ ქალებს ხშირად მჭადის ცხობა ეთაკილებათ, თუმცა რეცხვა არ მიაჩნიათ ცოდვად. ვეებერთელა ვაჟკაცი კოკით მხარზედ წყალს არ მოიტანს, წყურვილითაც რომ იხრჩობოდეს მისი ოჯახი და სხვა-და-სხვა.

ერთის სიტყვით, ნამდვილი აზიაა ჯერ კიდევ ეს ჩვენი დალოცვილი ქვეყანა.

რა შედეგი მოჰყვა ამ გარემოებას? ის, რომ აზნაურის ოჯახი დანგრეულ-გავერანებულია; შედარებით ბევრად უკეთ არის მოწყობილი მშრომელ გლეხის ოჯახი. ამას გარდა ამოდენი უქმი ხალხი მძიმე ტვირთად აწევს სოფლებს; რა-კი თავისი არა აბადია-რა, მუდამ იმაზედ აქვს თვალი დაჭყეტილი, რომ მეზობელს დასტყუოს, ან წაართვას რამე. აი, უმთავრესი მიზეზი მძულვარებისა ახლანდელ გლეხობასა და თავად-აზნაურობას შორის.

მეორე მიზეზი, რომელიც შეუძლებელ ჰყოფს დაახლოვებას გლეხობასა და თავად-აზნაურობას შორის ის არის, რომ თავად-აზნნურობას დღემდის ვერ შეუგნია უკვდავ შოთას სიტყვები:

„ათასად გვარი დაფასდა,
ათი ათასად ზრდილობა,
თუ კაცი თითონ არ არის,
ცუდია გვარიშვილობა“.

მეტადრე თავადებსა აქვთ ძვალრბილში გამჯდარი ის აზრი, ვითომც თავადის ღირსება აღემატებოდეს აზნაურისას და გლეხისას. ერთმანეთს უთუოდ „ბრწყინვალებით“ ახსენებენ, რომ თავი განასხვავონ დანარჩენ ქართველთაგან. ესა და ეს კაცი თავადიშვილიაო,—მოწიწებით იტყვიან ხოლმე.

ეს ცრუ აზრი დიდს უფსკრულსა სდებს თავადებსა და დანარჩენს ერს შორის; ეს ცრუ აზრი არის მიზეზი, რომ საკმაოდ შესამჩნევი ნიწილი ერისა მოწყვეტილია ხალხს. თანხმობით მოქმედება საერთო კეთილდღეობისათვის ამავე მიზეზით ბრკოლდება. არავისთვის დაფარული არ არის, რომ თავადები სჩაგრავდნენ ისედაც დაჩაგრულ ერს თავის ცრუ-ამპარტავნობითა და მედიდურობით და ზოგნი სჩაგრავენ ახლაც იმის მიგიერ, რომ თავისი გავლენა და ძალა ერის სასარგებლოდ მოიხმარონ.

პირველი საშუალება, რომელიც სპობს ყოველგვარ ცრუ-მორწმუნოებას და მოსპობს, რასაკვირველია, თავადურ ცრუ-მედიდურობასაც, თვით ცხოვრებაა. ამპარტავნება თან გაჰყვება სიმდიდრეს.

მეორე საშუალება. რომელსაც აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს, არის განათლება. ეს ისე ცხადია თავის-თავად, რომ დამტკიცება არ ეჭირვება.

თავის მხრივ ლიტერატურასაც შეუძლიან გაუადვილოს საზოგადოებას ახალ ჭეშმარიტ აზრების შეთვისება, შეუძლიან შეამოკლოს ბუნებრივი ისტორიული პროცესნი, მიიღოს, მაშასადამე, მონაწილეობა ცრუ-რწმენათა მოსპობაში.

დიაღ, ჩვენ მოვალენი ვართ, ხშირად მოვაგონოთ ჩვენს თავადებს ზემო ხსენებული სიტყვები: „თუ კაცი თითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა“-ო.

ტფილისი

✦ † გუშინ-წინ, 18 აპრილს, ნაშუადღევის 2½ საათზედ გარდაიცვალა სოფელს ახალქალაქში უგანათლებულესი კნეინა ელენე ზაქარიას ასული გრუზინსკისა. განსვენებულის მეუღლე იყო უგანათლებულესი თავადი ალექსანდრე, ძე ბატონიშვილის ბაგრატისა, საქართველოს მეფის გიორგის შვილისა. გიორგი მეფეს მეფის პირმშო ძე, მემკვიდრე ტახტისა დავით უშვილოდ გარდაიცვალა, მეორეს, იოანეს ვაჟი-შვილი არ დარჩა, მესამეს—ბაგრატს ჰყავდა ვაჟი-შვილი ალექსანდრე, ახლად მიცვალებულის უგანათლებულესის კნეინა ელენეს მეუღლე. კნეინა ელენეს დარჩა სამი ვაჟი-შვილი: უგანათლებულესნი თავადნი პეტრე, გიორგი და მიხეილ ალექსანდრეს ძენი.

✦ მოგვივიდა ახალი ქართული წიგნი „პარიჟის ქრონიკა“ ანუ ცხოვრება საქართველოსა და დიდის მოურავის ამბები, გადმობეჭდილი უკლებლივ 1829 წელს პარიჟში აკადემიკოსის მარი ბროსეს მიერ გამოცემულის დედნიდან. წიგნი დაუბეჭდია ზ. ჭიჭინაძეს. ფასი წიგნისა 30 კაპ.

✦ გუშინ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საწყობიდამ ურმებით და ფურგუნებით 10 ბოჩკა, თითო 15 ფუთიანი, შაბიამანი და 66 პარკი, თითო 6 ფუთიანი, გოგირდი კახეთში წაიღეს: 1, ანდრონიკაშვილმა, 6. აბხაზმა და დ. კ. ჩოლოყაშვილმა. ამათში პირველმა წაიღო გურჯაანს, მეორემ კარდანახს და მესამემ ბაკურციხეს.

✦ ტფილისის მესამე ვაჟთა გიმნაზიის დარბაზში, 16 აპრილს, დირექტორის თავმჯდომარეობით მოხდა ქალაქის ყველა საშუალო სასწავლებლის მკურნალთა კრება. კრებამ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოარკვია, რომ აპრილში ცუდის დარების და სიცივეებისა გამო, თუ საზაფხულო ტანისამოს ჩაიცმენ შეგირდები შეიძლება ავად დახდნენო და ამიტომ გადასწყვიტა: აეკრძალოს მოწაფეებს საზაფხულო ტანისამოსით სიარული პირველ მაისამდეო.

◆ საბჭოს საფინანსო კომისიას, ქალაქის ერთმა წევრმა წარუდგინა თავისი აზრი, რომ ამიერიდამ ძველის ტანისამოსის გამყიდველთ დეზინფექციის ფული (ხარჯი) აღარ გამოერთვას. სასანიტარო-სამკურნალო გამგეობამ, რომელსაც ჰქონდა მინდობილი თავისი აზრი წარმოეთქვა და რომელიც პრინციპიალურად უარს არ ჰყოფდა დეზინფექციას მუქთად, აუწყა კომისიას, ქალაქმა რომ ფული არ აიღოს დეზინფექციაში, კასიდამ ყოველწლივ 10,000 მ. დაეხარჯებაო და ასეთი ხარჯი საგრძნობელი იქნება ქალაქისათვისაო.

◆ მცხეთის ტაძრის განახლების კომისიამ ტეხნიკის და არქიტეკტორის თანადასწრებით დაათვალიერა ტაძარი. როგორც აღმოჩნდა, კომისიას ჯერ კიდევ დიდძალი ფული დასჭირდება ტაძრის შესაკეთებლად, მაგრამ რადგანაც კომისიას იმდენი ფული არა აქვს, რომ სულ ერთიანად შეაკეთოს ტაძარი, ამიტომ გადასწყვიტა, შეაკეთოს ჯერ მხოლოდ ის ნაწილნი, რომელნიც უფრო საშიშ მდგომარეობაშია; ხოლო დანარჩენი მიშინ, როცა სხვა და-სხვა შემოწირულობით ფული კვლავ ბლომად შეუგროვდება.

◆ ტფილისის გუბერნატორმა ქალაქის თავს წინადადება მისცა, რომ საერთო ღონისძიებათა გარდა, ხარჯთ-აღრიცხვის თავის დროზედ შედგენისათვის, საჭიროა მიიღოთ აგრეთვე ღონისძებაც, რადგან ხარჯთ-აღრიცხვა 1903 წ. ჯერაც არ წარმოუდგენია ქალაქს ჩემთვისაო. გუბერნატორი თხოულობს შეტყობინონ, თუ რა მიზეზებისა გამ არ წარადგინა აქამდე ხარჯთ-აღრიცხვა და ან როდის წარმომიდგენთო.

◆ რკინის გზის მოხელეთ დაუარსებიათ საგანგებო, საყოველთაო კომისია, რომელიც გაჰმართავს წარმოდგენებს, კონცერტებს და საცეკვაო საღამოებს. დღემდე გაუმართავს ორი საღამო და მესამესაც 22 აპრილს გაჰმართავს „ტფილისის საკრებულოში“. მოხელეთ განუზრახავთ დააარსონ ახლა კლუბიც.

◆ საბჭოს საფინანსო კომისიას, გაუსინჯავს რა 1903 წ. ხარჯთ-აღრიცხვა, დაუნახავს, რომ შემოსავალი ქალაქის წყლის-მილის სახელოსნოდამ თან და თან კლებულობს. აღმოჩნდა, რომ მიზეზი შემოსავლის დაკლებისა ყოფილა აწეული ნიხრი სახელოსნოს წყლის გასაყვანისა. ამიტომ კომისიამ შეადგინა ხმოსანთა პატარა კომისია, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ბბ-ნნი: ევანგულოვი, ბაბოვი და ფლორენსკი, ქალაქის გამგეობის წევრი ყნფიანჯიანცი და წყლის-მილის ტეხნიკოსი ქურდიანი; პატარა კომისიამ უკვე გადაათვალიერა ნიხრი წყლის-გასაყვანის სახელოსნოში. მასალის და სამუშაოს ფასი დასწია 30—50 პროცენტამდე. პატარა კომისია ამ საგნის შესახებ მოხსენებას წარუდგენს ქალაქის საბჭოს განსახილველად.

◆ დღეს, ტფილისის სათავად-აზნაურო თეატრში მეორედ წარმოადგენენ ახალს პიესას „მურად ფაშა“ ბ—ღისას, დაკლებულის ფასით.

◆ 17 აპრილს, ორთაჭალის ხიდის ერთი ნაწილი სრულიად მოიტაცა მტკვარმა. ხიდზედ ამ დროს მოჰყვა მეთევზე ალექსი გერასიმენკო, რომელიც ჩანგრეულ ხიდთან ერთად ჩავარდა წყალში და წყალმაც წაიღო. გერასიმენკოს დახმარება დროზედ აღმოუჩინეს და ნაპირს გამოიყვანეს სრულიად უვნებლად.

◆ 16 აპრილს ქარელის ბორანი მოიტაცა მტკვარმა. ზედ ხალხი შერჩა და დაიღუპებოდა აუცილებლად, რომ მეორე ბორნის თოკს არ შეეკავებინა. როგორც იყო, ამოიტანეს ბორანი თავისს ადგილას და გააბეს თოკი. ახლა-კი ახალი თოკია გაბმული და, იმედია, მტკვარი ვეღარას დააკლებს.

◆ დღეს ავლაბრის სახალხო თეატრში დანიშნულია ქართული იაფ-ფასიანი წარმოდგენა, რომელსაც სადღესასწაულო ხასიათი ექმნება, რადგანაც ეს წარმოდგენა იმართება პატივსაცემლად სცენის მოყვარულის გ. გედიკურაშვილისა, რომელიც დიდი ხანია ემსახურება ამ საქმეს.

◆ დიდძალი ჩითებითა და ფარჩეულობით სოფლად მოვაჭრე ურიები და სომხები არიან ჩამოსულნი ტფილისში სავაჭროდ. ყიდულობენ “საფომინობოდ'' გამოტანილ იაფ-ფასიან და ამასთან დამპალ საქონელს და ჰგზავნიან სოფლებში გასასაღებლად.

მოკლე ცნობანი საზღვარ-გარეთელ სამთო აკადემიების შესახებ.

ამ უკანასკნელ დროს თანდათან უზღუდვენ უცხოელებს დასავლეთ ევროპის, განსაკუთრებით გერმანიის, უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებში შესვლის უფლებას. წინად თუ იღებდნენ განურჩევლად ყველას, ვისაცკი საშუალო სასწავლებლის გათავების მოწმობა ჰქონდა, დღეს ზოგან ენის ცოდნას და ეგზამენის დაჭერას სთხოვენ, ზოგან-კი ექვსის თვის ან ერთის წლის პრაქტიკას. მხოლოდ ორი თუ სამი სამთო აკადემიაა, რომელშიაც ჯერ დაუბრკოლებლივ იღებენ უცხოელებს.

თუმცა ასე ავიწროვებენ ყმაწვილ კაცობას, მაგრამ უცხოელების რიცხვი: რუსთა, პოლონელთა და სხვ. შესამჩნევად მატულობს საზღვარ-გარეთის სასწავლებლებში და ვინცკი მოსულა, ყველას როგორმე მოუხერხებია აკადემიაში ან პოლიტეხნიკუმში შესვლა.

სხვა და-სხვა ქალაქებში გაბნეულ რიცხვმცირე სტუდენტობასაც ყოველ წლობით ემატება რამდენიმე ახალგაზდა. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია ზოგიერთ სამთო *) აკადემიის შესახებ მოკლე ცნობანი მივაწოდო იმათ, რომელთაც მომავალ სამოსწავლო წლისათვის სურთ საზღვარ-გარეთისაკენ გამომგზავრება.

დავიწყებ ლეობენის აკადემიიდან, რომელსაც დაახლოვებით ვიცნობ; აქ ჯერ-ჯერობით იღებენ უცხოელებს, რომელთაც გიმნაზია ან რეალური სასწავლებელი გაუთავებიათ; იმას-კი, ვისაც ატესტატი ან რეალურ სასწავლებლის გათავების მოწმობა არა აქვს და შეუძლიან წარადგინოს მხოლოდ „რამდენისამე კლასის გათავების მოწმობა“, იღებენ თავისუფალ მსმენელად.

გარკვევით არ არის ცნობილი, როგორი მოწმობაა ამისათვის საკმარისი, მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თავისუფალ მსმენელად მისაღებმა სტუდენტმა უნდა წარადგინოს ექვსის კლასის გათავებისა და მეშვიდეში რამდენისამე თვეს მაინც სწავლის მოწმობა. აქვე უნდა შევნიშნო, რომ გერმანიის აკადემიებიდან ნამდვილ სტუდენტს აქ ნამდვილ სტუდენტადვე არ იღებენ იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ ეგზამენი დაუჭერია იქ და საშუალო სასწავლებლის გათავების მოწმობა არა აქვს.

სემენარიელების შესახებ კი არაფერი ითქმის, რადგანაც იმათ აკადემიის დებულება არ იხსენიებს. აკადემიის მდივნის სიტყვით, შეიძლება მივიღოთ სემენარიელები, როგორც ნამდვილ, ისე თავისუფალ მსმენელ სტუდენტებათაო; ყოველ შემთხვევაში, ჯერ მაგალითი არ ყოფილა ამისა, და მთავრობამაც არ იცის, როგორ გარდასწყვეტს ამ საგანს, როცა საჭიროება მოითხოვსო.

მესამე კატეგორიას სტუდენტებისას ეგრედ წოდებული სტუმრები შეადგენენ; მათ უმოწმობოთ იღებენ, და აკადემიაც თავის მხრივ არავითარ მოწმობას არ აძლევს. თავისუფალ მსმენელს შეუძლიან ეგზამენის დაჭერა კერძო საგნებში და მოწმობის მიღება, ნამდვილი სტუდენტი კურსის დასრულების შემდეგ იჭერს სახელმწიფო ეგზამენს და იღებს მოწმობას, რომელიც იძლევა უფლებას სამთო ინჟენერის წოდებისას.

კურსი ორ ნაწილად იყოფა: მოსამზადებელი, საერთო (Vorkurs, allgemeine Abtheilung) და სპეციალური (Fachkurs, Fachschule). უკანასკნელი ორ სპეცილურ განყოფილებისაგან შესდგება: სამთო—Fachschule für Bergwesen და სამთო-საქარხნოსაგან—Fachschule fur Hutenwesen. Vorkurs-ს ორი წელიწადი სჭირდება, Fachkurs-ზე-კი თითო ამ სპეციალურ საგანს თითო წელიწადი.

ლექციებისათვის შესატანი ფული, როგორც ავსტრიის სხვა ყველა უმაღლეს სასწავლებელში, შედარებით ცოტაა. წლიური გადასახადი 50 გულდენია. ამას გარდა პირველ წელს მიღებისათანავე უნდა შეიტანოთ 10 გულდენამდე.

აკადემიის სამკითხველოში ჩაწერა სავალდებულო არ არის, მაგრამ, რადგანაც სპეციალური წიგნები სხვაგან ქალაქში არსად იშოვება და არც ლექციები იბეჭდება, უსათუოდ უნდა ისარგებლოთ ამ სამკითხველოთი, რისთვისაც 11 გულ. საჭიროა ერთხანად შესატანად. ექსკურსიებისათვისაც მეორე და მესამე წელს 70—80 გულ. საჭიროა.

ცხოვრება ჯდება: ოთახი 10 გ., სადილი 12 გ., ჩაი, შაქარი, ნავთი და შეშა 16 გ., წვრიმალი ხარჯი, როგორც მაგალითად: სახატავი ქაღალდი და ფერადი კარანდაშები და სხვ. ყოველთვიურად 3 გულ. სულ, მაშასადამე, თვეში 41 გულ.

პშიბრამის (პრაგას ახლო) აკადემიაში სრულიად ისეთი წყობილებაა სწავლისა და წესი მიღებისა, როგორც ლეობენში. ცხოვრება პშიბრამში უფრო იაფია, ვიდრე ლეობენში; სწავლება-კი ლეობენში უფრო უკეთ არის მოწყობილი ვიდრე პირველში.

მიღება, ჩვეულებრივ, ათ ოქტომბრიდან იწყება და რამდენსამე დღეს გასტანს ხოლმე, ამ დროს თუ არ გამოცხადდა აკადემიაში ახლად მიღების მსურველნი შემდეგ ადვილად შეიძლება აღარ მიიღონ, რადგანაც პროფესორთა საბჭო უცხოელების ატესტატებს სამინისტროში ჰგზავნის შესამოწმებლად მხოლოდ დანიშნულ ვადამდე. უცხოელების მოწმობებს სამინისტროში ამოწმებენ და ნებართვის მისაღებათ ადგენენ.

კლაუსტარში იღებენ გიმნაზია და რეალურ სასწავლებლის კურს დამთავრებულებს ნამდვილ სტუდენტათ, აგრეთვე მათაც, რომელთაც რომელიმე საშუალო სასწავლებელი გაუთავებიათ; ექვს კლასიანებს და სხვ. მხოლოდ თავისუფალ მსმენელად ან სტუმრებათ შეუძლიათ ჩაეწერონ: თხოულობენ აგრეთვე ექვსის თვის პრაქტიკას. ლექციების ფული 300 მარკამდეა საჭირო, საცხოვრებლად 60-დე. წელიწადში რამდენიმე დიდი ექსკურსია უნდა იკისრონ, ყოველ კვირაში — ერთი დღე პატარა ექსკურსიებისათვის არის გადადებული. აკადემია იძლევა ინჟენრის დიპლომს და კაი სახელიც აქვს მოხვეჭილი. პროგრამის გადმოწერა ან დაწვრილებით ცნობების შეტყობა შემდეგის ადრესით შეიძლება: Германія, Konigl. Bergakademie zu Klausthal Preussen.

ბერლინის და ფრეიბერგის სამთო აკადემიებში უფრო ძნელია შესვლა. ბერლინში ენის ცოდნას და ერთის წლის პრაქტიკას თხოულობენ. ფრეიბერგში თითქმის იმასვე სთხოვენ უცხოელს, რასაც ბერლინში. ფრეიბერგს ძველადვე ჰქონდა დიდი სახელი, როგორც საუკეთესო აკადემიას მთელს ევროპაში, რადგანაც პირველ ხარისხოვანი სწავლულნი კითხულობდნენ ლექციებს. ყველგან ცნობილნი არიან ვინკლერი (ქიმია), ვეისხარი (მინერალოგია) და ლედებური, ფრეიბერგის საუკეთესო პროფესორნი, რომელთა მეცნიერულ წიგნებით და გამოკვლევებით ხელმძღვანელობენ თითქმის ყველა აკადემიები. მაგრამ დღეს ძველ სახელ-განთქმულ პროფესორთაგან ძლიერ ცოტანი-ღა დარჩნენ; სახელი-კი აკადემიას ძველი შერჩა.

ლიეჟში (ბელგია) თხოულობენ გამოცდას ფრანგულ და კიდევ რომელსამე ახალს ენაში, ისტორიასა და გეოგრაფიაში, ანალიტიურ გეომეტრიაში და სხვ. საბუთი მიღებისათვის არავითარი არ არის საჭირო, მაგრამ თუ გიმნაზიის ატესტატს ან რეალურ სასწავლებლის მოწმობას წარადგენთ, რამოდენისამე საგნების გამოცდისაგან განთავისუფლებენ. ვისაც მათემატიკის ფაკულტეტი გაუთავებია, იმას მესამე კურსზე იღებენ გამოუცდელად. სწავლა სამ წლამდე გძელდება, ლექციების და წიგნების ფული 300 ფრანკამდე არის საჭირო. ცხოვრება შეიძლება 42—43 ფრ. პროგრამის გამოწერა პირდაპირ სასწავლებლიდან შეიძლება ამ ადრესით: Бельгія, Faculté de Liège. Ecole des arts et manufactures et des mines.

მონსი (ბელგია). საშუალო ადგილი უკავია უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებს შორის, საშუალო სასწავლებლის კურს დასრულებულთ გამოუცდელად იღებენ, სხვებს გამოცდით იმ საგნებსა და ენებში, როგორც ლიეჟში. ყველას განურჩევლად, როგორც ნამდვილ თავისუფალ მსმენელს, ლექციებისათვის 120 ფრანკს სთხოვენ. ზოგიერთ აკადემიებში, მაგალითად, ლეობენსა და პშიბრამში, თავისუფალ მსმენელს მეტი უჯდება ლექციების მოსმენა და გამოცდა, ვიდრე ნამდვილ სტუდენტს. თავისუფალ მსმენელს სთხოვენ ყოველ კერძო გამოცდისათვის ცალკე ფულს, და ეს კი ძვირი ჯდება 30—35 გულდენით.

დაახლოვებით ყველა აკადემიაში ლექციები იწყება ოკდომბერს და თავდება მაისის დამლევს და თიბათვის დამდეგს.

ვინც ენა არ იცის და მოახერხებს ორი-სამის თვით მაინც ადრე წამოსვლას, რასაკვირველია, ბევრად უკეთესი იქნება, რადგანაც გაიადვილებს შემდეგში სწავლას. ენას, თუ-კი მუყაითად მოჰკიდებს ხელს და სიტყვების და ფორმების გაზეპირებას არ მოერიდება, მალე შეისწავლის იმდენად, რომ წიგნების კითხვა და გაგება რამდენადმე შეიძლოს ლექსიკონის საშუალებით. ამ მხრივ გერმანიაში უფრო ადვილია უცხოელისთვის, ვიდრე ავსტრიაში. ავსტრიაში სულ სხვანაირად მიმდინარეობს რუსთა და ქართველ სტუდენტთა ცხოვრება, ნამეტურ პატარა ქალაქებში. ნემცებსა და სლავიანებს შორის იმდენად გამწვავებულია ბრძოლა ნაციონალურ ნიადაგზე, რომ ერთმანეთს ყოველ მხრივ ავიწროებენ და სდევნიან. ნემეც სტუდენტობას არამც თუ არაფერი საერთო არა აქვს სლავიანებთან, რომელთა რიცხვი ნამეტურ ჩეხებისა და პოლონელების ძრიელ ბევრია, არამედ როგორც თავის მოსისხლე მტერს ისე უყურებს. ჩეხები და პოლონელებიც, რასაკვირველია, მაგიერს უხდიან და სცდილობენ თავიანთ დედა-ენაზე ისაუბრონ. ამიტომ აქ პრაქტიკულად ენის ვარჯიშობას თითქმის მოკლებულია ის, ვინც ნემეცური ენა არ იცის და სურს, რაც შეიძლება, მალე შეისწავლოს.

უმეტეს ნაწილად სამთო აკადემიები პატარა ქალაქებში იმყოფება, სადაც რუსის კონსული არა სცხოვრობს. ამიტომ სანამდის ამისთანა ქალაქში მიხვიდოდეთ, საჭიროა, ატესტატი გადათარგმნილი და დამოწმებული იყოს, რათა ხელმეორედ არ დაგჭირდეთ რომელსამე დიდ ქალაქში წასვლა კონსულთან. თარგმანის დამოწმება, რასაკვირველია, სანოტარიუსო წესითაც შეიძლება და ერთის მხრივ ასე სჯობია კიდეც. კონსულის კანცელარიაში ატესტატის გადათარგმნა ძვირი ჯდება. ამიტომ უკეთესი იქნება ნემეცურის ან ფრანგული ენის მასწავლებელს გადაათარგმნინოთ.

ეს ცნობანი, ლეობენის და პშიბრამის აკადემიების გარდა, პროგრამებიდანა და კერძო წერილებიდან მაქვს ამოკრეფილი. ვისაც დაწვრილებითი ცნობანი სჭირდება, შეუძლიან პირდაპირ აკადემიიდან მიიღოს. თუ კი მარკა იქნება წერილში, პასუხს აკადემიის მდივანი უსათუოდ მისწერს მსურველს, ზოგან-კი მარკაა საჭირო.

სტ. დ. ჯაფარიძე.

ქალ. ლეობენი (ავსტრია).

სამეცნიერო წერილები.

მაგარი სასმელები საწამლავია.

10 მარტს პარიჟის სამედიცინო აკადემიაში მოხდა მეცნიერთა კრება, რომელზედაც მაგარ სასმელების შესახებ სჯა ჰქონდათ. მეცნიერნი ერთხმად შემდეგ აზრს დაადგნენ:

ყველა ლიკიორები და საზოგადოდ ყველა სასმელები, რომლებშიაც სპირტი ურევია, ფრიად მაწყინარია ადამიანისათვის. ყველა სახელმწიფო იმის ცდაში უნდა უყოს, რომ, როგორმე აღაგმოს მაგარ სასმელების გაჭრობა; თუ სრულებით არ შეიძლება მათი აღკრძალვა, სასურველია, დიდი ბაჟი მაინც დაედოს მაგარ სასმელებს, რომ

ფელეტონი

შურდული

(საკვირაო გაზეთი)

VI

თავლაფდასხმულნი.

ფანტაზია ერთ მოქმედებად.

მოქმედნი პირნი: დაჩი, პირველი თავლაფდასხმული, არა ხნიერი, ესე 30—32 წლისა, ტან-გაწრიოკებული, პუდამ წითელი, თვალები წვრილი, თხვი წრიოკა კისერზედ ისე აქვს წამოცმული, თითქო ჩხირისთვის ბორა-ვაშლი წამოუგიათო. ულვაში თხელი, წვრილი და გძელი ჩინური. ქართულს ლაპარაკობს, მაგრამ მტვრევითა და ვაი-უშველებლითა.

სია, მეორე თავლაფდასხმული. ეს უფრო დინჯია პირველზედ, ფილოსოფიურად დადის, ისე არა ცარაცურაობს, როგორც პირველი, სიტყვა ყელში არ ეტევა და აზრი თავში. ჯერ ახალგაზდაა, ღლაპია პირველთან შედარებით, მაგრამ დიდი ნიჭი ეტყობა, მოვა დრო და მამას გადააჭრბებს.

სხვა-და-სხვა პირთა აჩრდილნი, ქუჩაში გამვლელნი, ხორო.

სცენა წარმოადგენს წყლის ნაპირს ტყეში; მარჯვნივ მცირე ველი უდევს; თავსა და ბოლოს ადამის ჟამის მუხები სდგას, სიბერისაგან ძირი გამოჰფუღვრიათ, ტოტები ზოგი შეჰხმობიათ, ზოგიც ისევ ამაყად ამართულან და ტყის მდინარეს გადასცქერიან. შორით ხანდახან მოისმის ხალხის ხმაურობა, ძაღლთა ყეფვა, ეტყობა სოფელი ამ ველიდგან ახლოა.

დაჩი (ამოძვრება მუხის ფუღუროდგან). ვფიცავ ჯოჯოხეთიდამ ჩემს წარმომგზავნელ ბელზებელსა, ვემსახურო ჩემმიერ დაწყებულს საქმესა, ბელზებელის სასიამოვნოდ. ჰოი ცაო, მოიგრაგნე შავის ღრუბლებითა, იჭექე, იქუხე, წამოდი მაღლიდამ შენის რისხვითა, წალეკე ქვეყანა იგი ივერიისა, რომელთა შვილნი პირურცხვად გაიძახიან: „ქვეყანა ესე ჩვენი არსო!“ როგორ ჰბედავენ ის გიაურნი ამის თქმასა! (იძრობს დაშნას, კბილებს აკრჭიალებს და ასპარეზზე ტრიალებს, დაეძებს პაჭუა თვალებით ვიღაცას და დაშნას უღერებს).

ბელზებელის ხმა. ეგრე, ეგრე ჩემო კარგო! დაჩი მაგათ, დაჩი *) (ამ დროს მუხიდამ პარკი ჩამოვარდება, ყალბი ფულით გატენილი).

დაჩი (იღრიჭება, იღებს პარკს, ჰგონია ბაჯაღლო ოქროებიაო და გულში იხუტებს). შენი ხმა მესმის, ბელზებელ, ჩემო მეუფეო!! იმედი გქონდეს ჩემი, იმედი! ნუ გგონია, მე ივერიელი ვიყო, ჩემს ძარღვებში სხვა სისხლი ტრიალებს, ის სისხლი არ დამაყენებს, უნდა ვიღრინო და რაც თქვენ დააკელით, მე უნდა შევუსრულო.

ხორო (წყალს გაღაღმა მღერის)

იუდა გამცემლიძესა
უქებენ მოსახლე-კარობას...
არც მოედანზე გამოდის,
არც წავა სადმე ჯვარობას...

სია (გამოდის მეორე მუხის ფუღუროდამ, გძელი თმა კოჭებამდის სცემს, თითებზე ფრჩხილები გაუშვია, რომელიც მჭრელი დანასავით აქვს გაალმასებული; გულზე ხელი აქვს დაკრეფილი, მძიმე-მძიმედ ლაპარაკობს, შეიტყობს, რომ დაჩი სიმღერის ხმამ შეაკრთო, კუდი ამოიძუა და ფუღუროში აპირებს ჩაძრომას) შესდეგ, დაჩი! ნუ გეშინის, ბრძოლაში მარტო არ დაგტოვებ! ვებრძოლოთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე მათ, რომელნი იტყვიან: „ეს ქვეყანა ჩვენი არისო!.. ჰოი შეჩვენებულნო ივერიის ძენო! როგორ გაბედეთ, როგორ, და თქმევინეთ ენასა თქვენსა ისეთი უშვერებაი, რომ მისთანა სწავლულნი, ვითარ არიან ემინი, ეზოვი, დიდი პატკანიანი და სხვანი მრავალნი, რომელთა სახელნი მრავალ არიან და ეწოდების „ლეგიონ“, არიან უვიცნი, ლირფანი, მატყუარა სწავლულნიო!! ჰოი, დედამიწავ, გასკდი და შიგ ჩაიტანე მთქმელნი ამისთანა უშვერის ლექსისა!! რატომ ენა არ მიეკრა სასასა მათსა, რომელთაც გაჰბედეს ესოდენის უშვერების თქმა.

დაჩი. (გააწყვეტინებს) სიავ, შენა ხარ? ოიი, ჩემო დამბადებლო ბელზებელო! გადმოიხედენ მუხითა მაგით და მიიღე წიაღსა შინა შენსა ესეცა... შევერთდეთ, სიავ, შევერთდეთ! (დიდხანს არიან გადაჭდობილნი, კოცნიან ერთმანერთსა).

ხმა მუხიდამ. აჰაა! შვილნო ჩემნო (ჩამოვარდება მეორე პარკი იმავე ყალბის ფულით გატენილი, დაჩი და სია ეცემიან პარკს, ორთავეს ხელში უჭირივთ იგი, ხოლო თვალნი მუხისაკენ მიუპყრიათ).

ხორო. (მღერის, ხმა უფრო და უფრო ახლოვდება, პირველი ხმა მუდამ ამას იწყობს: „იუდა გამძემლიძესა, ბიჭებო!“, ხორო განაგრძობს:

დღისით არავის ნახულობს...
არა ვის მიეკარება...
საღაცა დადის ღამ-ღამით...
მელიად მიიპარება.

(შეკრთებიან, პარკი ხელიდამ გავარდებათ, „მელიად მიიპარებიან“ და უნდა ფუღუროებში ჩაძვრნენ, მაგრამ ამ დროს მოისმის შემზარავი ხმა ბელზებელისა: „შესდექით“!! დაჩი და სია კანკალს მოაყოლებენ, იკრუნჩხებიან, კუდ-ამოძუებულნი ბროტიალებენ ასპარეზზედ).

დაჩი და სია (ერთად). იუდა გამცემლიძეო!! ვიზედ ამბობენ ამას? (უცბად დაჩი და სია ერთმანერთზედ მიათითებენ).

დაჩი. შენზედ!

სია. არა, შენზედ!

ხორო. (კვლავ მღერის).

„ამბობენ: დიდი ხანია,
ხელი აიღეს სჯულზეო!
ალქაჯებს დაუმეგობრდენ,
სული გაჰყიდეს ფულზეო“.

დაჩი და სია (ერთად). ვერ შეგვაშინებს თქვენი მუქარა, თქვენი კიცხვა-ძრახვა... ჩვენ ვართ მქადაგებელნი ძმობისა და ერთობისა.. შეისმინეთ ჩვენი ქადაგება: რაც უნდა გძრახონ, გკილონ, გაგინონ, შენ ძეო ივერიისავ, მადლობით მიიღე, ყბა მიუშვირე, გაექცევინე, წააშლევინე შენი ვინაობა, ამას მოითხოვს პრინციპი ძმობისა და ერთობისა (დაჩი და სია ცალ მუხლზე დაჩოქილნი არიან, ხელნი ტყუპად უპყრავთ, თვალნი მიპყრობილნი აქვთ მუხისაკენ და ისე ამბობენ თვის ქადაგებასა).

ბელზებელი (მუხიდამ ჩამოაგდებს მესამე პარკს ყალბის ფულით. დაჩი და სია თვალებს დააჭყეტენ, ერთად ეტაკებიან პარკს და იხუტებენ გულში). აი, შვილებო! იქადაგეთ, იქადაგეთ ეგრე, სწორედ ეგრე! თორემ ივერია ბაიყუშია, თუ ერთი გამოიღვიძა, ყველას ჩაგვენთქავს; იმას მხოლოდ ძმობასა და ერთობაზე სიმღერა თუ კვლავ მიაძინებს, მაშინ თუ გამოვაცლით მთლად ნაბადსა და ჩავყრით ორმოში.

დაჩი და სია (მღერიან „ლოთებო ნეტავი ჩვენა“-ს ხმაზე).

„რა გინდ ზამთარი ყინავდეს
თვით ყვავიც ვერა ფრინავდეს“,
ვერ შეგვაშინებს ჩვენა
ივერია და ზენა (პარკებს ათამაშებენ).

ხორო (წყლის გაღმიდამ),

ქაჯებმა ფრთები შეასხეს,
უთხრეს უკუღმა ფრენაო;
ქვეყანა გააწირვინეს,
დააგმობინეს ზენაო...

დაჩი და სია (პირდაღებულნი, თვალებდაჭყ-

---

*) პოლიტეხნიკუმებისა და მათ სამთო განყოფილებათა შესახებ ცნობანი არა მაქვს და ვერაფერს ვიტყვი.

*) დაჩი—მიეტიევო; ხალხში ხმარობენ, როდესაც ძაღლს მიუტევენ ვისმეს.

ავტ.

ამით უფრო გაძვირდეს და ყველასათვის ხელ-მისაწვდომი ვეღარ გახდეს.

ფრიად შემცდარი აზრია, ვითომც ჭამის წინად, მარგებელი იყოს არაყის, ან სხვა მაგარ სასმელის დალევა. აკადემიის აზრით, მაგარი სასმელი კიდევ უფრო მავნებელია, როდესაც კაცი უზმოზედ სვამს. ძლიერ მავნედ სთვლის აკადემია იმ სასმელებსაც, რომელსაც ფრანგები aperitifs (მადის გამხსნელს) ეძახიან. ეს სასმელები ფრანგებს ძალიან უყვართ და ჰგონიათ, ვითომც მარგებელი იყოს კუჭისათვის.

ერთის სიტყვით, პარიჟის სამედიცინო აკადემია ურჩევს ყველას მაგარი სასმელების დევნას. მაგარი სასმელები საწამლავიაო,—გადასწყვიტა აკადემიამ.

აკადემიაში ამ საგანზედ ბაასი აღძრა „La tribune médicale“-ის რედაქტორმა და აკადემიის წევრმა Laborde-მა, ნამდვილად-კი ზემოხსენებულის გარდაწყვეტილებისა მიზეზი იყო გამოჩენილი მეცნიერი Duclaux.

ამას წინად „La Revue“-ს რედაქტორმა მიჰმართა წერილით ზოგიერთს გამოჩენილ მეცნიერს და სთხოვა, შეეტყობინებინათ თავიანთი აზრი მაგარ სასმელების შესახებ. მეცნიერმა Duclaux-მა თავისს საპასუხო წერილში ის აზრი გამოსთქვა, რომ, საზოგადოდ მაგარ სასმელებს,—თუ კაცმა ზომიერად ჰსვა,—არამც თუ ვნება არ მოაქვს, არამედ დიდად მარგებელია, რადგანაც სპირტს მასაზრდოებელი მნიშვნელობა აქვს ადამიანის სხეულისათვისაო. მაგარ სასმელებს (ე. ი. სპირტს) ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც შაქარს და სახამებელს. ორმა ამერიკელმა მეცნიერმა მოახდინეს ცდაო, განაგრძობს Duclaux, საიდგანაც სჩანს, რომ შეგიძლიანთ საჭმელს სრულებით გამოაკლოთ შაქარი და სახამებელი და მათ მაგიერ აძლიოთ სპირტი და ასეთი რეჟიმი სრულებით უვნებელია ადამიანისათვის.

საზოგადოდ ადამიანს შეუძლიან დღეში დალიოს უვნებლად ერთი ლიტრი *) ღვინო, რომელშიაც 10% სპირტია.

გამოჩენილის მეცნიერის ასეთმა აზრმა ყველა გააოცა, მით უმეტეს, რომ დანარჩენმა მეცნიერებმა ყველამ უარჰყვეს, მაგარ სასმელების სარგებლობა და ერთხმად გამოაცხადეს დიდი მავნებლობა ამ სასმელებისა.

მეჩნიკოვმა პირდაპირ სთქვა: მე დარწმუნებული ვარ, რომ სპირტი საწამლავიაო.

სახელოვანი ბერტელო-კი იმ აზრისაა, რომ სპირტი კაცობრიობის გამანადგურებელია, ადამიანის გადაგვარების მიზეზია.

სპირტის წყალობით რამდენიმე ველური ხალხი სრულებით გაჰქრა დედამიწის ზურგზედ. უსათუოდ უნდა იყოს შემოღებული სასტიკი კანონი, როგორც სკანდინავიის სახელმწიფოებში, მაგარ სასმელების წინააღმდეგაო.

შარლ რიშეს აზრით, კაცობრიობა ბედნიერი იქმნებოდა, რომ მაგარი სასმელები მოისპოს ქვეყნად.

ლანსერო და სხვებიც უარჰყოფენ მაგარ სასმელების სარგებლობას და დარწმუნებულნი არიან მის ვნებაზედ.

ექიმი ბადრიძე.

ჩვენებური ამბები

ს. სართიჭალა. კარგა ხანია სოფელ სართიჭალაში არსებობს ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა. წინად სულ ქართველები ინიშნებოდნენ მასწავლებლად და სწავლა შესაფერისად სწარმოებდა. ადგილობრივი საზოგადოება კეთილად ეპყრობოდა სასწავლებელსა. შეგირდებიც ბლომად დაიარებოდნენ, მაგრამ ამ ერთის წლის წინად აქ მასწავლებლად დანიშნეს ახალი მასწავლებელი, რომელმაც სრულიად არ იცის ქართული. მხოლოდ როდესაც მასწავლებლად დანიშნეს, მაშინ აიღო ხელში ამ მასწავლებელმა ქალმა თვით-მასწავლებელი ქართულის ენისა და იმის შემწეობით ორ-ორ სიტყვას იზეპირებს და ამ ცოდნით მიდის სასწავლებელში ბავშვების გონების გასახსნელად. ღმერთმა უწყის, ან როგორ უნდა ასწავლოს ამ მცირე ცოდნით და ან რა უნდა გამოვიდეს ამისთანა სწავლებისაგან. მხოლოდ ეს-კი ვიცით, რომ ამ მასწავლებლის გამწესების დღიდამ მოწაფეთა რიცხვმა, მომატების მაგივრად, იკლო და დღეს ორმოც შეგირდიდგან ცამეტი-ღა დაიარება, სხვები შემოეფანტნენ სკოლას.

—

სოფ. შროშა (იმერეთი). „ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო“, რომ იტყვიან, სწორედ შროშაზეა ნათქვამი. წინმსვლელობის ნიშანი სრულიად არა ეტყობა-რა; როგორც ამ ოცის წლის წინად უცხოვრია, ისევ ისე სცხოვრობს და, როგორც ეტყობა კიდევ დიდხანს იცხოვრებს ასე. მთელს სოფელში რომელშიაც 800—900 კომლი სცხოვრობს, მხოლოდ ორი სამრევლო სკოლა არის, მაგრამ არც ერთი ხეირიანად არ არის მოწყობილი და ვერც ერთი ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას.

ამოდენა სოფელში არ არის არც აფთიაქი, არც ექიმი, არც ფერშალი. აქაურების ექიმი მკითხავია და წამალი—ხატებზე სიარული და ცხვრის დაკვლა (ხანდახან [illegible] ხარსაც დაჰკლამენ ხოლმე). მკითხავის ცბიერებით ტყავი სძვრება ხალხს და არა ერთი და ორი ესალმება წუთი-სოფელს...

კალამი ვერ ასწერს, რა ცუდ მდგომარეობაშია აქაური სასოფლო გზები; განსაკუთრებით უვარგის მდგომარეობაშია წმ. ღვთისმშობლის ეკლესიიდგან სად. ძირულისაკენ მიმავალი გზა. ზედ ნიადაგ ტალახი და წყალი სდგას და თვით კვირიკობ-მარიამობისთვეშიაც არ შრება ხოლმე. ზედ ქვებია გალაგებული და ამ ქვების საშუალებით გადადგადმოდიან ხოლმე. თუ ვინცობაა ფეხი გადაგიცდათ ქვაზე, წელამდის ჩავარდებით ტალახში; ბეწვის ხიდს რომ იტყვიან, სწორედ ეს არის.

თუ საჭიროებამ მოითხოვა და აქაურ გზებზე სიარული მოგიხდათ, გირჩევთ თავი დაიზღვევოთ, თორემ, ვინ იცის, რა შეგემთხვევათ. დრო არის, მიაქციოს ამ გზას ყურადღება, ვისიც ჯერ არს.

შროშელი გიგო.

—

ზესტაფონის თეატრის კედლების საუბარი.

— რა მალე აგვმართეს და აგვამაღლეს! მერე მიგვატოვეს, იმოდენი თოვლი თავს გვაწვა, წვიმა ხომ ორი სამი დღეც არ გაივლის, რომ არ გვბანდეს ტანსა, შიგნითაც გვიჯდება და ერთმანეთს გვაშორებს. ნეტა რაღას გვახოლიხებდენ, თუ კი ასე ღვთის ანაბარად წვიმასა და თოვლში ვეგდებოდით? მხოლოდ მისთვის აგვაყუდეს, რომ გამვლელ-გამომვლელს შემოეხედა და მარტო ცქერით დემტკბარიყო? ნეტა როდის მოეღება ბოლო ჩვენს ტანჯვასა და სახურავს ქვეშ როდის მოვექცევით?.

— თქვენი რა მოგახსენო,—უპასუხა მოპირდაპირე კედლებმა,—მე კი სახურავს ვეღარ ველირსები! თან და თან სულ ძირს ვეშვები და განზედ ვიზნიქები. მე ჩემი თავი ვერ ამიტანია, სახურავს როგორღა გავუძლო? მაგრამ ჩვენ რომ ამ ყოფაში ვართ, ძმობილნო, ეს სულ საძირკვლის ბრალია. ტყუილად მოაჭორეს, ვითომც ამშენებლის ბრალიაო. არა, საძირკველი არ დადგა, ის დაუდეგარი ერთს ნიადაგზედ, გვღალატობს და დანგრევას გვემუქრება!

საძირკველმა ძლივს მოჰკრა ყური კედლების ჩივილს და ქვევიდგან წახრჩობილის ხმით,—თითქო გრამოფონიაო ამოსძახა:—„აჰაი,აქვე უსვინდისოებო, თქვენ დღის ნათელს მაინც ხედავთ და მზის სხივებზედ შრებით, მე კი მიწაში ვგდივარ! სასჯელად განა ის კი არ მეყოფა, რომ მაგოდენა კედლები თავზედ მაწევხართ და თქვენ კიდევ მაყვედრებთ, საძირკველის ბრალიაო, ერთ ნიადაგზედ ვერ დადგაო?—თქვენოდენა კედლები და ნახევარ საჟენი საძირკველი?.. ან დღემდი როგორ მოაწიეთ ეგრე და ფეხზედ როგორ სდგეხართ; ყური მოვკარი, ვითომც საწყალს ჩვენს ამშენებელს აბრალებდენ გამგეები ამ ჩვენს მდგომარეობას. ამშენებლის მაგივრად მე შევფიცავ ყველას, რომ ჩვენი ახლანდელი ყოფა მათი ბრალია. ჩემზედ უკეთ ვინ იცის თქვენი ან ჩემი ამბავი?—თქვენ სად იყავით, პირველად რომ აქ ჩამაგდეს? როცა ამშენებელი მიმზადებდა საფლავს ჩემს ჩასასვენებლად, მოვარდა ერთი გამგეთაგანი: „რა საჭიროა მაგ სიღრმე მიწის ამოთხრა საძირკველისათვისაო? ეგ მე მკითხეთ! მთელი ზესტაფონის ქაღალდებს და წერილებს მე ვბეჭდავ, წიგნებს და რვეულებს ვყიდი და ისე უვიცი არა ვარ, არ შევიტყო, რა სიღრმის ორმოა საჭირო საძირკველისათვის? რაც ამოთხარეთ კმარა, და ვთხოვთ დაუყოვნებლივ შეუდგეთ შენებასაო!“ ამშენებელმა მოუსმინა ზედამხედველს და მუშებს უბრძანა, შენება დაეწყოთ. დაიწყო თქვენი აგება, მაგრამ შუას ზევით რომ ავიდნენ, ვეღარ გაგიძელით, ქვევით დავიწყე [illegible] და თქვენც დაშორდით ერთმანეთს, ახლა ხომ მიხვდებით, ვისიც ბრალია.

— ჰოოო, მაშ აგრეა? დაიძახეს შერყეულმა კედლებმა—არ ვიცოდით! უკაცრავად, საძირკველო, ბოდიშს ვიხდით. შენ-კი, საცოდავ ამშენებელო, გვეცოდები!.

— საცოდავი როგორ არ არის!—წამოიძახა წინა კედელმა, რომელიც ყველა კედლებზედ მაგრად და შეურყევლად იდგა,—მეც იმან ამაშენა? მაგრამ არ შევრყეულვარ, იმიტომ, რომ ამხანაგობის წარმომადგენელი ჩემს საძირკველის ჩაყრის დროს არ დასწრებია, თორემ,—შენი მტერია,—მეც თქვენსავით [illegible] დაღებული დავრჩებოდი!..

Vox.

რუსეთი

ახალი სისხლის სამართლის დებულებას ცვლილება შეაქვს არსებულ კანონმდებლობაში, რომელიც შეეხება ბრბოსაგან ჩადენილ ბოროტ-მოქმედებათა. თავდაპირველად დებულება ეხება არეულობას, რომელსაც მოჰყვება შედეგად ვისმეს მძიმე დაშავება ან სიკვდილი. არეულობაში მონაწილენი, რომელთაც ბრალად არ ედებათ ეს მძიმე დანაშაული, დაისჯებიან დაპატიმრებით არა უმეტეს სამის თვისა, ბრბოს ხელმძღვანელნი, რომელნიც აქეზებდნენ მას არეულობის მოსახდენად, ან ხმარობდნენ არეულობის დროს იარაღს, დაისჯებიან დაპატიმრებით, არა უმეტეს ერთის წლისა. შემდეგ დებულება ეხება იმ შემთხვევას, როცა არეულობაში მონაწილენი პოლიციის მოთხოვნილებას არ აასრულებენ და არ დაიშლებიან: დამნაშავენი სამის თვით დაპატიმრებით დაისჯებიან. ეს სასჯელი გაძლიერებული იქნება, თუ ახალი პოლიციელთა რაზმი ან ჯარები იქნა გამოწვეული და არეულობის მომქმედნი მაინც არ დაიშლებიან. ახალი დებულება განსაკუთრებით ეხება საჯარო ყრილობას, რომელიც უპატივცემულოდ მოეპყრობა უმაღლეს მთავრობას ან გაკიცხავს არსებულ ძირითად კანონებს, ტახტის მემკვიდრეობის წეს-რიგს, თანაგრძნობას გამოუცხადებს მეამბოხეთა ან მოღალატეთ, სახელმწიფოში არსებულ საზოგადო წეს-წყობილების დამრღვეველთ და მათ მოძღვრების მიმდევართ. დამნაშავენი დაისჯებიან ციხეში ან სატუსაღოში დაპატიმრებით არა უმეტეს სამის წლისა. ეს სასჯელი გაძლიერებული იქნება იმათთვის, რომელნიც გამართავენ ამ ყრილობას ან წააქეზებენ ხალხს ყრილობის გასამართავად, ან ხელმძღვანელობას გაუწევენ მას. დებულება ბოროტ-მოქმედებად სცნობს იმისთანა ყრილობაში მონაწილეობას, რომელმაც—1) ძალით წინააღმდეგობა გაუწია ჯარსა, თავს დაესხა სამხედრო დარაჯებს ან გუშაგებს 2) ხელში ჩაიგდო და დაანგრია იარაღის და სამხედრო მასალის საწყობი, იარაღის ქარხანა, გამაგრებული ადგილები, სამხედრო გემები, რკინის გზა, ტელეგრაფი ან ტელეფონი, სახელმწიფო ხაზინა, მთავრობისაგან ნება-დართული საზოგადო და სააქციონერო საკრედიტო დაწესებულებანი; 3) გაანთავისუფლა ტუსაღები საპყრობილედან დარაჯებზე ძალ-დატანებით, 3) იხმარა მფეთქავი იარაღი და მოწყობილობა. ამგვარ ყრილობაში მონაწილენი გაიგზავნებიან მადნების სამუშაოში არა უმეტეს 8 წლისა. ყრილობის გამმართველთა, წამქეზებელთა და ხელმძღვანელთათვის ეს სასჯელი გაძლიერებული იქნება.

— ქ. ჟიტომირში ბრბო თავს დაესხა ოთხს ჩინელს და კინაღამ მოჰკლა ისინი. ჩინელები დუროვის ცირკში მსახურებენ და უქმე დღეს წასულიყვნენ ბაზარში სახალხო დღესასწაულის სანახავად. დაინახა თუ არა მთვრალმა ხალხმა ჩინელები, მაშინათვე მისცვივდა, ჯერ დაცინვა დაუწყო იმათ, შემდეგ-კი ვიღაცამ დაიძახა, „დაჰკა მაგათაო, ამათ ჩვენი ხალხი დახოცეს ჩინეთშიო!“ მთვრალი ხალხი დაერია ჩინელებს, სცემდა მუშტითა და ჯოხებით და, ჯარის-კაცები რომ არ მიშველებოდნენ ამ უბედურთ, მოჰკლავდა კიდევაც. ჯარის-კაცებმა ალყა შემოარტყეს ჩინელებს და დიდის გაჭირვებით მოაშორეს გაფთრებულ ბრბოს.

— ფინლიანდიის გაზეთში გამოცხადებულია: რადგან ფინლიანდიაში აქამდის შესაფერი კანონებით განწეს-რიგებულ არ იყო სამოქალაქო და სამხედრო გამგეობათა შორის ურთიერთობა, გენერალ-გუბერნატორმა საჭიროდ სცნო, ყოველგვარ უთანხმოებათა ასაცილებლად, შემოღებულ იქნას ფინლიანდიაში ამ საგნის შესახებ მთელ იმპერიაში არსებული კანონები. ფინლიანდიის სენატმა გენერალ-გუბერნატორის წინადადებით, გამოაქვეყნა „ფინლიანდიის დიდი სამთავროს განჩინებათა კრებულში“, გუბერნატორების და საპოლიციო გამგეობათათვის სახელმძღვანელოდ.

— ქ. კიშინევში ებრაელების წინააღმდეგ მომხდარ არეულობის დროს ბევრი ებრაელი დაშავდა. ებრაელთა დუქნების და სახლების გარდა, ბრბომ გასტეხა ფანჯრები საგუბერნიო მმართველობის ტიპოგრაფიისა, სამხედრო საკრებულოსი, კლუბის და გაზეთ „Бессарабецъ“-ის სტამბისა.

ყველაზე მეტად ღარიბი ებრაელები დაზარალდნენ. მრავალი ხალხი დარჩა გარედ, უსახლკაროდ. მოკლულია 30 კაცი, ამათ რიცხვში რამდენიმე ქრისტიანიცაა. დაჭრილთა რიცხვი 62-აა.

უცხოეთი

ინგლისი. გაზეთობა შემდეგს იუწყება სომალილენდში ინგლისელთა დამარცხების შესახებ.

ჰოლანდიის აღმოსავლეთით, 20 ვერსის მანძილზე, იმყოფება სადეპეშო სადგური; ამ სადგურის უფროსი იუწყება,—აპრილის 10-ს (ახ. სტ.) პოლკოვნიკ კობბის სასწრაფო რაზმმა თავი ანება ჰალადისა და ვანვანისაკენ გაემართა აპრილის 17-ს დილით ჰუნბურრუს მივიდა. რადგან აქ მეტად გაუჭირდათ წყლის შოვნა და ვეღარც ვანვანის გზა გაიგნეს, ისევ უკანვე დაბრუნება არჩიეს. მაგრამ, როგორც-კი გამოსცდნენ სიმაგრეებს და აღმოსავლეთისაკენ გაგზავნეს მოწინავე ცხენოსანი რაზმი, მოესმათ საშინელი თოფის სროლა. კობბმა იმ წამსვე მიაშველა პოლკოვნიკ პლონკეტის უფროსობით 160 აფრიკელი მეთოფური, 48 ინდოელი ჯარის კაცი ორი, ზარბაზანი მაქსიმისა. ეს მოხდა დილის 9½ საათზე. შუადღისას უფრო იმატა ხმაურობამ. პირველ საათზე მოირბინა შიკრიკმა და განაცხადა,—პოლკოვნიკ პლონკეტს სასტიკი შეტაკება მოუხდა, მაგრამ მაინც გაუძლო მტერსა და ცხენოსანთა რაზმი იხსნა განსაცდელისაგანაო. მაგრამ, ცოტა ხნის შემდეგ, გაიგეს, რომ პლონკეტი დამარცხებულიყო. ლტოლვით განაცხადეს,—როცა პლონკეტი „გიჟ-მოლას“ ჯარებს დაედევნა, ერთ გაშლილ მინდორს მიაღწია, საიდგანაც ჯიმბანამდე 7 მილი თუ იქნება. ამ დროს, სრულიად მოულოდნელად, თავს დაესხა ქვეითი და ცხენოსანი ჯარი „გიჟ-მოლლასი“. პლონკეტმა კარგა ხანს გაუძლო, მაგრამ სრულიად შემოელია პატრონები. მეტი გზა აღარ იყო; მოუყარა თავი ჯარსა და ხიშტებით მიაშურა მტერსა, რომ გზა გაეკაფა და თავი დაეღწია. მაგრამ მტრის ფინთიხმა განგმირა პლონკეტი; ინგლისელთა რაზმი მეტად შემცირდა, ასე რომ ძლივსღა 37 კაცი გადარჩა სიკვდილს და გაქცევით უშველა თავსა. ზარბაზნები მტერს ჩაუვარდა ხელში. პლონკეტის რაზმში იყო 10 ინგლისელი ოფიცერი, 2 ევროპიელი ჯარის კაცი, აფრიკელი მეთოფურნი და ინდოელი ჯარის კაცები; გადარჩა-კი მხოლოდ 37 აფრიკელი.

სერბია. ამ დღეებში მეფეს წარუდგა რადიკალ დეპუტატ იოვანოვიჩის მეთაურობით დეპუტაცია, რომელსაც 700 კაცი შეადგენდა. მეფემ ვრცელი სიტყვით მიჰმართა დეპუტაციას და განუმარტა მიზეზნი, რომელთაც გამოიწვიეს საკონსტიტუციო ცვლილების მოხდენა.

ოსმალეთი. გაზ. „Fr. Z.“-ს დეპეშით ატყობინებენ სტამბოლიდგან, რომ კუმანოვოს, კრატოვსა და პრეშტიჩში ოსმალთა ჯარი აწიოკებს და არბევს ადგილობრივ მკვიდრ ბულგართაო.

ვენის გაზ. „ზეიტ“-ში დაბეჭდილია ბორის სარაფოვის წერილი ერთ საზღვარ გარეთელ მეგობართან:

ამ წერილში სარაფოვი დიდად ჰკიცხავს ზოგიერთ ჟურნალ-გაზეთობას და, განსაკუთრებით, რუსეთის მწერლობის მიერ გავრცელებულ ხმებს, ვითომ მაკედონელნი დიდის სიმკაცრით ეპყრობოდნენ ოსმალთაო. „ეს ამბებიო,—სწერს სარაფოვი, ნამდვილი ცილის წამებაა; მათის გავრცელებით მაკედონიაც თან-და-თან ჰშორდება რუსეთს. მაკედონელთ სლავიანთა სახელმწიფოების დახმარების იმედი გადაუწყდათ. მათი თვალი მიპყრობილია განათლებულ საქრისტიანო ევროპისაკენ და იმედიცა აქვთ, რომ იგი დაუჭერს მხარსა და ნებას არ მისცემს მძლავრს ვეშაპს შთანთქას თავისუფლებისა და კაცობრივ უფლებათა მაძიებელი ერიო“.

დასასრულ სარაფოვი ამბობს,—მე და ჩემმა ამხანაგებმა გადავწყვიტეთ ვიბრძოლოთ შეუპოვრად, სანამ—თუ სრული თავისუფლება არა,—ბერლინის ხელშეკრულობის მიერ აღთქმულ რეფორმებს მაინც არ განვახორციელებინებთ ოსმალეთსაო

იტალია. იტალიის ჟურნალ გაზეთობას დიდი მსჯელობა აქვთ გამართული ალბანელთა შესახებ; ეს ამბავი გამოიწვია პრინეტტის სამსახურიდან გასვლამ, რომლის პოლიტიკაც ალბანელთა შესახებ იტალიელებს არ მოსწონდათ.

რომის გაზ. „Cor. a. Ser.“-ი თავის წერილში პრინეტტის შესახებ, რომლის მოღვაწეობასაც ჯეროვნად აფასებს, ასე განმარტავს მის პოლიტიკას ბალკანეთის შესახებ:

„მას შემდეგ, რაც იტალია გამორიცხულ იქმნა ავსტრია-რუსეთის შეთანხმებიდან მაკედონიის შესახებ და მხოლოდ ხსენებულ სახელმწიფოთა გავლენის ქვეშ მოჰყვა ოსმალეთი, ადვილად შესაძლებელია, ერთს დღეს ავსტრია-უნგრეთმა თავისი ჯარებით ალბანიაც დაიკავოს; მაშინ-კი მშვიდობით იტალიის ალბანიაში გადაფრენის ოცნებავ; აღმოსავლეთში, როგორც ჩვენს ნივთიერსა და ზნეობრივ ინტერესს, ჩვენს გავლენასაც სამუდამოდ მოეღება ბოლო. ბატონ-პატრონად ავსტრია-უნგრეთი შეიქმნება. ვისკონტი-ვენოსტის დროს, როცა კრიტის საკითხი ირჩეოდა, იტალიის გაურევლობა საქმეში შეუძლებელი იყო. მოსალოდნელ საქმეთა მოწყობამ იქნება იტალიის დიდი ზარალიც მოუტანოს“-ო. დიდად სამწუხაროაო,—დასძენს გაზეთი,—რომ პრინეტ-

---

*) ერთს ჩარექზედ ცოტა ნაკლები.

ლეტილნი შეჰყურებენ ხოროსა, პარკი ნელნელა ეშვება ხელიდამ, უცებ დანებს გაიძრობენ, იღერებენ, დარბიან ასპარეზზედ, დაეძებენ ვიღაცას; კუდებით მუხებს ქვეშ მტვრის ბური ააყენეს, მტვრის ნისლი ნელ-ნელა გადიყრება; დაჩი და სია ერთმანეთს უახლოვდებიან და ერთად ამბობენ): ვიბრძოლოთ ერთად, შევმუსრათ მისწრაფებანი ივერიისა, ვთესოთ წმინდა თესლი იგი, ბოძებული ბელზებელისაგან (ბელზებელი ამ დროს გადმოდგება მუხიდამ, კაბის კალთა გაუშლია და ზემოდამ აბერტყავს დაჩის და სიას).

პირველი აჩრდილი. მოდი, მოდი, მომეხვიე, ჩემო დაჩი! რაც მწადდა, იმას ასრულებ! კურთხეულ იყოს ამიერ უკუნისამდე გზა სავალისა შენისა (ჰქრება).

მეორე აჩრდილი. (სიას) წყეულიმც იყავ,—არ მეგონა, თუ უკუღმართობას დაადგებოდი... წყეულიმც იყოს გზა სავალისა შენისა მიერ უკუნისამდე (აჩრდილი ნელ-ნელა ჰქრება.)

დაჩი. (მხიარულის ხმით დაიარება ასპარეზზედ, კუდი ზურგზედ გადმოუდვია და ულვაშები ჩინურად ჩამოუმწვეტებია). ჩამოდექით, თქვენ ყოვლად ბრმანო!.. დღეიდამ ახალის ძალით ვიწყობ ბრძოლასა, შევმუსრავ ყოველსავე, რაც კი გადამეღობება წინ და გამიბედავს ჩემის აზრების უარყოფასა. ვის რად ეპიტნავება მამული, ენა! ერთობა მამულისა, ერთიანობა ერისა! ძმობა და მეგობრობა მათთან, ვინც მათი დახსომება და გატანა არ იცის—აი პრინციპი, რომლისაგანაც კაცობრიობა ელის ხსნასა, მამულისთვის ლოლოდი, ბლაუქი იმისი, რომ ყოველმა ხალხმა ენა თვისი დაიცვას, დაიცვას თვისი ვინაობა, ერთს ჭიან ტყემლად არა ღირს! ძირს, ძირს, ძენო ივერიისნო, მიმდევარნო უცნაურის პრინციპისა! ხელი, ძმაო სია, ხელი!!.

სია (გაშტერებული დგას, ხელები მუცელზედ აქვს მოკრეფილი, დანა მოშლით უჭირავს, კუდი ამოძუებული აქვს, თმა თავ-პირზედ გადმოსწეწია და ბუტბუტებს). აჩრდილმა დამწყევლა! ნუ-თუ მართლა მეც იღლობა მეთქმის... ხმა სიმღერისა, სიტყვები პოეტისა!.. ღმერთო, ღმერთო, გადამარჩინე!..

ბელზებელი. ხმა. ჰა, ჰა! შედრკი, შე უხასიათოვ!!. (კალთას აბერტყავს ზემოდან).

დაჩი. (სიას) შეჰხედე, ბატონი გიბრძანებს.

სია. (ბელზებელის დანახვაზე აკანკალდება, ირყევა) არა, არ შევდრკები... მაგრამ აჩრდილი... (დანა მიაქვს ყელთან).

ხორო. გულში ჩაუსხეს ნაღველი.
შხამი სცხეს ენის წვერზე!..
ლაფი დაესხათ იუდებს
ულვაშებზე და წვერზეო.

დაჩი. მომხედე, ჰოი მუზავ ბოროტებისავ! შთამბერე სული შენი თვის ძალ-ღონით, რათა შევმუსრო ესე მგალობელთა გუნდი. სირცხვილით უნდა სწითლდებოდნენ, რომელნი იტყვიან ივერია ივერიისათვის და არა ალ-ქაჯთათვის. მონროეს დოქტრინას „ამერიკა ამერიკელთათვის“ მხოლოდ ამერიკაში აქვს ადგილი, ჩვენში-კი სულ სხვაა: უნდა შესრულდეს ნება ბელზებელისა... გამოძყევ, სიავ, საბრძოლად (სია გაშტერებულია, ირყევა, ვერ ბედავს; ამ დროს გაჩნდება ბელზებელი ბოროტთა სულთა ჯარით, გაიგდებენ სიასაც წინ; წინ [illegible] ყოჩივით დაჩი, დაშნა ამოღებული).

აჩრდილი მოხუცისა [illegible] დროს მუხებს შუა გამოჩნდება ბრგე მოხუცი სპეტაკის წვერით; თავი შარავანდით აქვს მოსილი [illegible]ის დანახვაზე ბელზებელი და სია წივილ-კივილით გაიფანტება; დარბიან ასპარეზზედ დაჩი და სია). რას ჩამახ[illegible] ქარის წისქვილებს ებრძვით? იქ ჰ[illegible] ძმობა და მეგობრობა, სადაც მას [illegible]სა სდებენ, იმავე საწყავლით მოგიწყა[illegible] რითაც ერთი უწყავს.. დაე, თვით [illegible]წყონ ქადაგება ძმობა ერთობაზე; თქვ[illegible]რად მატრაკვეცობთ.. აბა ერთი მიჩვენეთ მაგალითოდ, რომელი მათგანია მქადაგებელი დიდი მოძღვრებისა... (დაჩი ყელს იღერებს, სია მოიკუნტა, მუშტის ოდნად გახდა) [illegible]ვს ლაფი დაგესხათ, უძლებნო შვილნო! [illegible]ი ნელ-ნელა იკუნტება, მიიწევს ფ[illegible]ოსაკენ, ბელზებელს ეძებს).

ხოროს ხმა. ლაფი დაესხათ იუდებს
ულვაშებზედ და წვერზე...

სურათი: მოხუცი მრისხანედ [illegible] დაჩის, რომელიც ქვად იქცევა, ხოლო სია წყლისაკენ გაექანება და წყალში [illegible]ება. მოხუცი ნელ-ნელა ჰქრება.

ია [illegible]

ტი, ვისაც წყალობითაც ქვეყანა ამ მდგომარეობაში ჩავარდა, აღარ უდგას მთავრობას მხარში და აღარ ძალუძს იტალიის ამ გასაჭირიდან დახსნაო.

გერმანულ გაზეთობამ განმარტა ეს წერილი და შენიშნა,—რადგანაც ავსტრია-უნგრეთი და რუსეთი შეთანხმდნენ ბალკანეთზედ „Status guo"-ს დასაცველად, და არა მის შესაცვლელად, იტალიის ძრწოლა უსაბუთოაო.

თეატრი და ხელოვნება

ბაქო. 23 აპრილს, ორშაბათს, რკინის გზის „აუდიტორიაში" გაიმართება ქართულ-რუსული წარმოდგენა ჩვენის საყვარელ მსახიობის ვ. ალექსი-მესხიშვილის სასარგებლოდ. წარმოდგენილი იქმნება ქართულად კომედია „ადვოკატი მელაძე" და რუსულად—ერთ მოქმედებიანი ვოდევილი. დივერტისმენტში წაიკითხავენ იმერულ სცენებს, სცენებს გლეხთა ცხოვრებიდგან, კინტოურ ლექსებს და სხვ. დასასრულ გაიმართება ევროპიული ცეკვა და ლეკური.

—

სოხუმი. 7 აპრილს კნეინა ტერეზია შერვაშიძის მეთაურობით წარმოდგენა იყო გამართული სცენის მოყვარულთაგან აქაურ კლუბის დარბაზში „წერა-კითხვის საზოგადოების" სასარგებლოდ.

წარმოადგინეს აზიანის სამ-მოქმედებიანი კომედია „ფული და ხარისხი" და გუნიას ვოდევილი „რაც არ მერგება, არ შემერგება". წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ: კნ. მიქაძისა, ქქ. მაკრინე თურქია, მაშო თურქია, ეპრაქსია ბერულავა და ანეტა ჩხენკელი; ბ-ნნი: ჩხეიძე, დიდებულიძე, კოზმავა, ჩხიკვაძე, კობახიძე და ხოხიაშვილი.

ისეთს პიესების წარმოდგენა, როგორიც არის აზიანის კომედია „ფული და ხარისხი", სწორედ რომ დიდი სასარგებლო უნდა იყოს ჩვენთვის, რადგანაც ჯერ აქ ისევ ძველებურად სცემენ თაყვანს წოდებრივს უპირატესობას და კიდევ ბევრი მოიპოვება ლამბაქეთა მზგავსი ტიპები, რომელთა დევიზიც მხოლოდ უსაქმურობა და ლოთიფაშობაა. ვინ იცის, რამდენი სუსტის ჭკუის კნეინობის მოტრფიალე დედა და შვილი ჩავარდნილა ამ ბატონების წყალობით ისეთსავე მწარე შეცდომაში, როგორშიაც ვარდებიან აზიანის პიესის გმირები სოფიო და მაშო.

დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ ხასიათის პიესების წყალობით ბევრი ასცდება ამგვარს შეცდომას.

რაც შეეხება თამაშს, უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენმა სცენის მოყვარულებმა კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცეს თავიანთი უნარი ამ საქმეში, რადგან იმ გარემოებაში, როგორშიაც ისინი თამაშობენ, გამოცდილ მსახიობთაც-კი გაუჭირდებოდათ უკეთესად წარმოდგენა. ყოველს ფარდის დაშვებაზე დარბაზი გრგვინავდა და ვაშას ძახილსა და ტაშის ცემას საზღვარი არა ჰქონდა.

ჩვენში სცენის მოყვარულთ არავინ არ ჰშველის არასფერში; არა ჰყავთ რეჟისორი და არც სცენარიუსი, ხშირად არა აქვთ სახლი, სადაც შესაძლებელია რეპეტიციების გამართვა, თვითონვე ჰყიდიან ბილეთებს, დგებიან კარებში, უჩვენებენ ხალხს ალაგს, შოულობენ რეკვიზიტს და ხშირად სკამებსაც-კი.

ამ მიზეზების გამო სცენის მოყვარულთ წარმოდგენის დღეს იმდენი საქმე ატყდებათ თავსა, რომ მთელი დღე აქეთ-იქით დარბიან უსმელ-უჭმელნი დ, რასაკვირველია, ძალზე დაქანცულები გამოდიან სცენაზე, მაგრამ მაინც ხალხის საყვედურს არ იმსახურებენ; პირ-იქით დიდი მადლიერიც რჩება საზოგადოება.

ჩვენშიაც რომ დამხმარებლები გამოუჩნდებოდნენ სცენის მოყვარულთ, როგორც სხვაგან, მაშინ ხომ უფრო ხშირადაც შეეძლებათ წარმოდგენების მართვა და ბევრსაც ასიამოვნებენ საზოგადოებას.

მართალია, პატივცემული კნეინა ტერეზია შერვაშიძისა არ ჰზოგავს შრომას საქმის კარგად წაყვანისათვის, მაგრამ ერთისათვის ყოვლად შეუძლებელია ამ საქმის კარგად გაძღოლა და ეს მით უფრო, რომ პატივცემულს კნეინას ყოველთვის ხელ არ უწყობს გარემოება, ჯეროვანი მეთაურობა გაუწიოს სცენის საქმეს.

7 აპრილის წარმოდგენამ ცხადად დაგვიმტკიცა, რომ ჩვენმა საზოგადოებამ უკვე შეიგნო თეატრის მნიშვნელობა, თუმცა ამ დღეს (აღდგომის მეორე დღეს) ხალხი სტუმრიანობასა და ქეიფში ატარებს დროს, მაინც იმდენი საზოგადოება მიაწყდა კლუბს, რომ დარბაზი ვერ იტევდა და ბევრი, უალაგობის გამო, უკან გაბრუნდა.

დიდის მადლობის ღირსნი არიან, როგორც პატივცემული კნეინა ტერეზია შერვაშიძისა, ისე სცენის მოყვარულნი, რომ შრომას არ ზოგავენ და აღვიძებენ დრო გამოშვებით მიძინებულს საზოგადოებას. გარდა ამისა, რომ სცენის მოყვარულნი გონებრივს საზრდოს აწვდიან ხალხს, მათის წყალობით ყოველ წლიურად მისდის ცოტა რამ წვლილი სოხუმიდამ ისეთს სიმპატიურს საზოგადოებას, როგორიც არის „წერა-კითხვის საზოგადოება".

კოლო.

წერილი
რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

I

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს წერილს თქვენს პატივცემულ გაზეთ „ივერია-ში".

ამ წარსულ მარტის დამლევს შევკრიბე რამდენიმე მანეთი სასარგებლოდ ავადმყოფ ქართული სცენის მსახიობისა, პატივცემულის ვ. ა. მესხიშვილისა, რომელიც იმყოფება ამ ჟამად საზღვარ გარეთ ქ. ვენაში, და წარვუდგინე გარდასაცემად ქართულ დრამატიულ საზოგადოების ადმინისტრატორს ბატონს ს. დ. ნახუცრიშვილს. დახმარება აღმოუჩინეს შემდეგ პირთ: უცნობმა 1 მ. ნ. კორზიუკომა 1 მ., ისაკა შოშიტაშვილმა 3 მ., ნ. ჩიკვაიძემ 1 მ., ა. შართავამ 50 კ., დ. დ. 50 კ., ი. მელაშვილმა 20 კ., ზ. პერიევმა 50 კ. მ. კერესელიძემ 20 კ., ს. გრიქუროვმა 20 კ. მ. გრიქუროვმა 1 მ., გ. ბებურიავმა 20 კ. ს. პაიჭაძემ 50 კ., პ. ყუჯიაძემ 50 კ., გ. სტეფანენკომ 1 მ. ი. კარსელაძემ 20 კ., ხ. ქიფცურაშვილმა 15 კ., ა. კურაძიძემ 20 კ., გაბერიძემ 20 კ., გ. ვარნაზოვმა 20 კ., გ. გოგინოვმა 30 კ., მ. აზნაუროვმა 20 კ., დ. სარქისოვმა 20 კ., ციციკოვმა 50 კ., მ. ბ. 20 კ., შ. იმერლიშვილმა 20 კ., ს. გ. პერლოვმა 50 კ., გ. ივანოვმა 20 კ., ვ. ყასუმოვმა 20 კ., მ. მურადოვმა 20 კ., ი. მკალობლიშვილმა 20 კ., გ. მაისურაძემ 50 კ., დ. მდივანოვმა 20 კ., ს. ყარაევმა 20 კ., ნ. ოგანეზოვმა 20 კ., ს. მჭედლოვმა 20 კ., ი. დიღმელაშვილმა 20 კ., იზიძემ 30 კ., ვ. გაჩეჩილაძემ 20 კ., ს. ხომელიძემ 40 კ., დ. რაჭველაშვილმა 20 კ., ს. ბარსეგოვმა 20 კ., ვ. ხოსიტაშვილმა 20 კ., ს. ჭიჭიაშვილმა 20 კ., გ. ბიბილაშვილმა 20 კ., გ. დავიდოვმა 20 კ., ს. ალფაიძემ 50 კ., ა. სირაკაშვილმა 20 კ., ვ. მაჭავარიანმა 30 კ., ი. კელეპტაროვმა 20 კ., ბ. გულიაზოვმა 20 კ., თ. სალუქაშვილმა 30 კ., ი. ასტვაცატუროვმა 20 კ., ა. მაისურაძემ 20 კ., ა. ელიაზაროვმა 20 კ., თ. სვანაძემ 50 კ., დ. ტარიანმა 20 კ., გ. მარშანოვმა 20 კ., ს. არუშანოვმა 20 კ., ზ. ცომაიამ 20 კ., ი. დათუნაშვილმა 30 კ., ა. საგანელიძემ 20 კ., წ. სუხიშვილმა 20 კ., მ. ჯაფარიძემ 50 კ., ნ. ბადრიძემ 20 კ., დ. ვახტანგიშვილმა 50 კ., კ. არეთინოვმა 20 კ., ი. მეტრეველმა 30 კ., ზ. ვლადიმირაშვილმა 50 კ., ა. ხახუტაშვილმა 20 კ., დ. ქადიაშვილმა 20 კ., ს. მოისაშვილმა 60 კ., ი. შერაშიძემ 30 კ., ს. ჩხიკვაძემ 50 კ., იაკობ ცოფურაშვილმა 1 მ. პ. სულქველიძემ 30 კ., შ. ონიკოვმა 50 კ., ა. მოღვლიძემ 50 კ., ვ. ტურქაძემ 40 კ., ს. მაჩხანელმა 1 მ., ი. ქოიავამ 1 მ., ა. ბეგიჯანოვმა 20 კ., ზ. ბაქრაძემ 20 კ., და ილია ყარანაშვილმა 10 კ. გარდა ზემოხსენებულის რიცხვისა, ბევრმა მიიღო მესხიშვილის დახმარებაში მონაწილეობა.

შეგრებილი ფული სულ შესდგა ორმოცდა ერთი მანეთი თვრამეტი შაური და ერთი კაპეიკი. (41 მ. 91 კ.).

ი. მ. სუხიაშვილი.

II

უმორჩილესად გთხოვთ მომცეთ ნება თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადოთ ბ-ნ ნიკოლოზ ჩიკვაიძეს, გელათში მცხოვრებს, რომელმაც შემოსწირა რამდენიმე წიგნი გაბრიელ ეპისკ. სახელობაზე არსებულ ბიბლიოთეკას.

ელენე კონ. ჯინოვისა.

III

როგორც მოგეხსენებათ ვ. მესხიშვილისათვის ბაქოში შევაგროვეთ ფული. შემოსწირეს: ბ-მა ს. ზუბალაშვილმა 50 მან; ი. მდივანმა 25 მან., დ. მამულაიშვილმა 15 მან., ე. ხელთუფლიშვილისამ და ნ. მიქელაძისამ, ა. მიქელაძემ, ი. ელიაშვილმა, ს. იოსელიანმა, ს. მიქელაძემ, ს. კვიტაშვილმა, ვ. ქიქოძემ, ი. იოსელიანმა, ი. ლორთქიფანიძემ, პ. ბრაილოვსკიმ, ი. ლადიანმა, ი. თურქიამ, მ. ჯინორიძემ, კ. ლორთქიფანიძემ, ა. გოცირიძემ, გეპნერმა, თ. გრიგორიევმა, გ. ჩხეიძემ, ა. დოდაბერიძემ და დ. დოდაბერიძემ ხუთ-ხუთი მ., ბ.ბ-მა ჩხატარაიშვილმა და ს. გელოვანმა ოთხ-ოთხი მ., ბ-მა შუბერმა 3 მან., ბ.ბ-მა ვეისმა, №-მა, მაისეემა და ს. მეფისაშვილმა ორ-ორი მან., ბ.ბ-მა გამრეკელმა და ილიაძემ თითო მან., სულ 211 მან., რომელიც პირადად გადაეცა ბ-ნ მესხიშვილს (იხ. „ივერია" № 78). თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმეს მადლობას ვუძღვნი ყველა ამ სიაში მოხსენებულთ.

ნ. ალმასხანის ასული ლორთქიფანიძისა.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

18 აპრილი.

პეტერბურგი. „კანონდებულებათა კრებულში" გამოცხადებულია, რომ დიდი რუსეთის ორკესტრი მიღებულია მის იმპერატორებითი უდიდებულესობის მფარველობის ქვეშ.

ხარკოვი. უმთავრეს საპყრობილეთა გამგეობის უფროსისა, სამსაჯულოს უფროს მოხელეთა და ადმინისტრაციის თანა დასწრებით გაიხსნა პირველი ტუსაღთა მოსათავსებელი დაწესებულება, (17 მარტის კანონით გაუქმებულ დამნაშავეთა გადასახლების შესახებ) ადგილობრივ საპყრობილის კომიტეტის დირექტორმა კოვალენკომ შესწირა—6000 მ. ამ დაწესებულებაში ეკლესიის მოსაწყობად.

ლონდონი. „Times"-ს ატყობინებენ პეკინიდან, ადმირალმა ალექსეევმა გამოაცხადა, რომ მუკდენის პროვინციებში, რომლებიც რუსებისაგან იქმნა განწმენდილი, ყველა უცხო ქვეყნელს შეუძლიან თავისუფლად იმოგზაუროს ისე, რომ რუსეთის პასპორტი არ დასჭირდებათ.

პანკუვერტი. უკანასკნელი ცნობით ფრანგში მომხდარი ადიაქოთი უნდა მიეწეროს მთების გადმონგრევას. ვულკანურ კოშლის მაგგვარ ამოხეთქვას აწერენ მტვრის ბუქს, რომელიც მთების დანგრევის დროს უნდა მომხდარიყო. საზოგადოთ დახოცილთა რიცხვი 95-ა; ტელეგრაფის მავთულები დაწყვეტილია. 17 მაღნის მთხრელთაგან, რომლებიც ქვეშ მოჰყვნენ ნანგრევებს, ორი დაიხსნა.

ზემლინი. სერბიის საზღვარზე, რისტოვაცის პირდაპირ, სადაც არც ერთი ალბანელი არ მოიპოვება და სადაც არასდროს არაფერი არეულობა არ მომხდარა, მოულოდნელად დაბანაკდა ბატალიონი თათრების ჯარისა. სერბია გაოცებული და შეშფოთებულია თათართა ამ მოუტევებელ საქციელით. იმედი აქვთ, რომ სახელმწიფოები ადვილად მოახერხებენ ბატალიონის უკანვე დაბრუნებას. სერბიის მმართველობა, როგორც ყოველთვის, თავის პირობას არ გასტეხს.

რიზა-ბეი. რეფორმების მოწინააღმდეგე, რომელიც დაიკოვოში წავიდა, სულთანის ბძანებით დაბარებულია უსკიუბში და დაპატიმრებული იქნება, როგორც პირველი ტყვე ალბანელ წინამძღვართ შორის. ალბანელები აცხადებენ რომ [illegible] ექნებათ რეფორმების წინააღმდეგ პეტონის ახლო. ომერ ფაშა ემუქრება მათ, რომ ჯარის დახმარებით პირველ შემთხვევაშივე გავანტავთო. სათათრეთი აცხადებს; რომ ევროპელ ჟანდარმთა ოფიცრების რიცხვს კიდევ უნდა მიემატოს თორმეტ კაცამდე.

ვორონეჟი. აღდგომა დღეს, ბულდინოვკის სლობოდაში დაუჭერიათ ხლისტები ღვთის მშობელი (დედაკაცი), მეზობლობა მეტ აღელვებულია, ხლისტები ბევრი დააპატიმრეს.

მარსელი. ამერიკის დივიზიის ადმირალი 4 ამერიკულ გემთა წინამძღოლთა თანხლებით მიეგება პრეზიდენტ ლუბეს და სიხარულით გამოუცხადა, რომ ამერიკის ხალხი და პრეზიდენტის სახელით ვინატრი საფრანგეთის კეთილდღეობას და კერძოდ თქვენს ბედნიერებასაო. ლუბემ უპასუხა, რომ მე სულით და გულით გმადლობთ იმ თანაგრძნობისათვის, რომელსაც საფრანგეთი ღირსეულად დააფასებსო. საღამოს შვიდ-ნახევარ საათზე პრეზიდენტი პარიჟისაკენ გაემგზავრა.

19 აპრილი

პარიჟი. სამ საათზედ მეფე ედუარდი მობრძანდა. მოსამსახურე პირთა მინისტრების წარდგენის შემდეგ, რომელნიც გამოცხადდნენ მეფე ედუარდის დასახვედრად, პრეზიდენტი და მეფე ინგლისის საელჩოში წავიდნენ. ქუჩაში თავი დიდძალ ხალხს მოეყარა, რომელიც აღტაცებით უძღვნიდა მათ სალამს. [illegible] მეფემ ელისეს მინდვრები ინახულა დაბრუნებისას მიიღო ინგლისის სავაჭრო პალ.

ბუდაპეშტი. დეპუტატთა პალატა. მინისტრ-პრეზიდენტი სელლი წარუდგენს მოხსენებას იმ განკარგულებათა შესახებ, რომელიც მიღებულია დროებითი ბიუჯეტის კანონ-პროექტის დაუმტკიცებლობის გამო. [illegible] (კოშუტის დასისა) აცხადებს, რომ ეს მოხსენება ისეთი განკარგულებაა, რომელიც შე[illegible] კონსტიტუციის დარღვევას; ამისგამო პალატამ არ უნდა განიხილოს ეს მოხსენებაო. სელი ცდილობს, თავისი თავი დაიცვას. ატყდა წარმოუდგენელი დრიანცელი. სხდომა [illegible] ხანების შემდეგ, მინისტრი სიტყვის თქმას განაგრძობს, მაგრამ არ ათავებინებენ. რაც მან კვლავ დაიწყო ლაპარაკი, ისევ ატყდა [illegible]. სხდომა კვლავ შეაჩერეს. დამშვიდების შემდეგ სელი კვლავ იწყებს ლაპარაკს, რომელსაც თანასდევს შეუწყვეტელი ყვირილი. გაისმა-იქ ხმა—უკანვე წაიღეთ კანონ-პროექტი! სხდომა დაიხურა დიდის მღელვარების გამო.

ლონდონი. „Times"-ს ატყობინებენ კანტონიდან, რომ ხუთს ამერიკელ და ხუთსაც იაპონელ ოფიცერთ, რომელნიც რკინის გზის საქმეზედ არიან, დაესხა ბრბო იუნტანთან; ოფიცრები შეცვივდნენ თურმე ტაძარში, რომელიც ხარიხებით გაამაგრეს. ამერიკის ელჩმა ჯავშნიანი გემი დაიბარა; ჩინეთის ჯარიც გაიგზავნა.

სამაკოვი. მაკედონიიდგან ამბავი მოვიდა, რომ ალბანელთა წინააღმდეგ ჯარებს აწყობენო: მიტროვიცაში—20 ბატალიონს, პრიზრენში—30, პრიშტინს, გილიანს, უჩიტრინსა და იპეკში—ოთხ-ოთხსა და დიაკოვში 1. სულ—66,000 ქვეითი ჯარს, ორი ათასს ცხენოსან და 96 ზარბაზანსა.

მიუნხენი. საქსონიის მეფე შტუტგარტს წავიდა.

პარიჟი. ლუბე დღეს დილით მოვიდა.

სტამბოლი. დეპეშებით იტყობინებიან, რომ სალონიკში სრული მშვიდობიანობა სუფევსო.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/73 ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 2 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № 9/10 დილის 6 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 1 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 21 წ.; 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ.

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მოავალი) ღამის 4 ს. 40 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 01 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ; დღის 2 ს. 23 წ.

ბათუმისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

პეტერბურგის ბირჟა, 15 აპრილს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,95
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,72½
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98½ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	101 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	95⅜ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	439½ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	339 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	300½ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	90⅜ გაყ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9875 გაყ.
აქციები ,, „ „ „	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	4225 წვ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	409 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	203 წვ. გაყ.

განცხადება

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ისყიდება მამული

გორის უეზდში ს. **ნიაბაში** ვენახი 3 დესეტ. და სახნავი მიწა 2 დესეტ. და სოფ. **ჩოჩეთში** 3 დესეტ. მიწა. ვსთხოვთ წერილებით მიმართონ შემდეგის ადრესით: Петербургъ, Инженерная академія В. Пересвѣтъ-Солтанъ.

(3—95—2)

საკოსმეტიკო მასალა

БЕРТА РИСЪ

მის იმპერატორ. უდიდებულესობ. კარის ვაჭარი

Pasta Eugénie საცხებელი (პუდრა) პირი-სახისათვის, რომელიც აქრობს სწრაფად მზისაგან ალანძულებას, ჭორფლს, სიწითლის ლაქებს არბილებს პირი-სახის კანს, აგრეთვე სიახლესა და სილამაზეს აძლევს სახეს. ფასი 1 მ. 60 კაპ.

პუდრა-Eugénie თეთრი, ვარდის ფერი და რაშელი. მაგრად ეკვრის კანს და თვალისათვის უჩინარია; აგრეთვე აძლევს პირის-სახის კანს შესანიშნავს სირბილეს, სიფაფუკესა და სინაზეს. ფასი 1 მ. 20 კ. შესაფქვევის ბუმბულის კანით 1 მ. 50 კ.

ფერ-უმარილი-Eugénie (წყალივით არის) და აძლევს ღაწვებს და ყურებს სრულიად ბუნებრივს ვარდის ფერს, რომელსაც არ ეშინიან არც დღისა და არც ელექტრონის სინათლისა. ფასი 1 მ. 50 კ.

Elixir-Mélange წყალივით სახმარია თმის ასაზრდელად და თავში ქერტლის გასაწყობად. ფასი 2 მ.

დაფნის ბალზამი (პუდრაა წყალივით) აძლევს პირი-სახეს, ყელს, ხელებს და სხვ. ნაზს სირბილეს და მარმარილოს მზგავს სისუფთავეს. აქრობს მზისგან ალანძულობას, ჭორფლს და კანის ყოველსავე ძიბოებს. ფასი 1 მ. 75 კ.

ქინაქინ-გლიცერინის-მიერი თმის საცხებელი (პომადა) პერუს ბალზამით შეზავებული გასამაგრებლად, გასახშირებლად და გასაზრდელად თმისა. ფასი 2 მან.

საღებავი თმისა (რის-გუტმანი): შავი, მიხაკისფერი, შატენი და ბლონდი. ამ საღებავით შეღებილი თმა 6 კვირის განმავლობაში შეირჩენს ფერს; შემდეგ არ მიიღებს არც მოწითანო და არც ჟიგრის ფერს. ფასი 3 მან.

უნგარული ესენცია ულვაშებისათვის (რის-გუტმან) აძლევს ულვაშებს სასურველს ფორმას, აპაგრებს და ხელს უწყობს მათს სწრაფს ზრდას. ფლაკონი პატარა სარკით ადვილად შეინახება ჟილეტის ჯიბეში. ფასი 75 კაპ.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის რისგუტმანისა) აქრობს ბებერებსა და მეჭეჭებსა, აქრობს ძირიან ფესვიანად. ფასი ფლაკონისა—80 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისშია. საფთ. საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველ საფთიაქო მაღაზიაში.

ტექსტი ამოღებულია „Прав. Вѣст."-იდან, № 233 1901 წ. (80—15)



როიალები



პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები
მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.
ბ. მ. მირიმანიანცისა.
МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО
Б. М. МИРИМАНІАНА
Тифлисъ, Дворцовая ул.
(25—6—7)

გამოვიდა და ისყიდება
ლედი ჯენ
ჯემსონის მოთხრობა სურათებით
სააღდგომო საჩუქრით
ვარაყიანის ყდით 1 მ.

ისყიდება ჯეჯილის რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

ჯეჯილის რედაქციაშივე ისყიდება 1897, 98 და 99 წლების ჯეჯილი თითო წლისა ორ მანათად. (10—6—9)

Дозволено цензурою. Тифлисъ. 19 апрѣля 1903 г. Типографія „Гутенб." (кн. Гр. Діасамидзе) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.